პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სექტემბერი 29 (16968) № 228 ფასი 2 კაპ.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝ

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ, ᲞᲘᲠᲝᲜᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ ᲛᲨᲝᲛᲚᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ — ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲣᲠᲝᲜ ᲫᲐᲚ-ᲚᲝᲜᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲐᲯᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ

ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲑᲐ დამეუფლა, როცა ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების ახალი გამარჯვების ამბავი შევიტყვე. გარჯას საიუბილეო წელს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილ მოლოცვას ჩვენც, მრეწველობის მუშაკებიც გულმხურვალედ გამოვეხმაურეთ.

ეს მოლოცვა ჩვენც ბევრს გვავალებს. სწორედ ამიტომ ჩემი ბრიგადის წევრებთან ერთად გადავწყვიტე იუბილემდე დარჩენილი დღეები კიდევ უფრო უკეთესი შედეგებით აღვნიშნო. საიუბილეო წელს რიტმული შრომით დროს საკმაოდ გავუსწარით და ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲪᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲒᲕᲥᲕᲡ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲛᲓᲔ—7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ. ამავე დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ პროდუქციის ხარისხს. წუნიანი პროდუქციის გამოშვება ბრიგადამ მინიმუმამდე — 0,7 პროცენტამდე შეამცირა.

თქვენი წარმატებით აღფრთოვანებული, მრეწველობის მუშაკები გაორკეცებული ძალით ვიშრომებთ საიუბილეო წელს ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ მრეწველობის მუშაკებს მუდამ გვემახსოვრება, რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ კეთილსინდისიერი შრომა და ჩვენი შრომითი მოღვაწეობა ერთადერთი ღირსეული პასუხია იმ ნამდვილად ლენინური ზრუნვაზე, რომელსაც იჩენენ მშობლიური პარტია და მთავრობა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუუჯობესებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის.

Ზ. ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲘᲫᲔ,

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ 40 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ, 24 სექტემბერი (საქინფორმის კორ.). ხელვაჩაურის რაიონის „ᲛᲐᲝᲤᲔᲚ ᲐᲮᲝᲜᲔᲚᲘᲡ“ კოლმეურნეობის ჩაის ოსტატთა სახარული, აღმავლობა და აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცმა წერილმა საქართველოს მეჩაიეებისადმი.

აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. თურმანიძემ. მან თქვა:

— მეჩაიეთა დიდ შრომითს გამარჯვებაში ჩვენ, ახალშენელებმა, ჩვენი წვლილი შეგიტანეთ — მოვკრიფეთ 1.956 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, გაცილებით მეტი, ვიდრე მიმდინარე საიუბილეო წლის ვალდებულებით გვქონდა გათვალისწინებული. ამასთან გადასამუშავებლად ჩაბარებული ნედლეულის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ეს წარმატება არის შედეგი სოციალისტური შეჯიბრებისა.

ტრიბუნაზე ადიან ისინი, ვინც თავდადებული შრომით მოიპოვა გამარჯვება — მოიწია და მოკრიფა უხვი მოსავალი — მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ნ. დიასამიძე, აგრონომი ო. გორაძე, მეჩაიეები შ. კახიძე, ნ. ჯაბნიძე, მ. სურმანიძე.

მათ გულწრფელი მადლობა უძღვნეს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს ქართველ მეჩაიეთა შრომის მაღალი შეფასებისათვის, განაცხადეს, რომ ესწრაფვიან უფრო უკეთ იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომელშიც პირობას დებენ, რომ სეზონის დამლევამდე დამატებით 40 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეულს მოკრეფენ.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲕᲔᲮᲘᲜᲘᲡ, ᲥᲐᲭᲠᲔᲗᲘᲡ, ᲝᲥᲘᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ვეჯინის სანერგე მეურნეობაში წელს უხვი რთველი იყო, ჰექტარზე 134 ცენტნერი ყურძენია მიღებული. სახელმწიფოს ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 4.000 ტონისა 4.800 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. ვეჯიხელების პირობაა წლეულს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში წარმატებით შესასრულონ ვალდებულებები.

ამავე რაიონის კაჩრეთის კოროვის სახელობის კოლმეურნეობამ ყურძნის დამზადების დავალება გადამეტებით შესასრულა, სახელმწიფოს ნაცვლად 1.650 ტონისა 2.050 ტონამდე ყურძენი მიჰყიდა. ყურძნის კრეფა გრძელდება.

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის ოქიოს საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულება, ნაცვლად 1.730 ტონისა სახელმწიფო მარანში მიტანილია 1.800 ტონაზე მეტი ყურძენი. რთველი გრძელდება.

500.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!

ᲠᲗᲕᲔᲚᲡ — ᲢᲔᲛ�პᲘ!

„ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲡᲢᲡᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲐ)

რაიონები	გეგმა	ვალდებულება	27 სექტ. მიდგომით	მოკრეფილია რთველის დაწყებიდან
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ	88000	100000	537	77653
ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ	53500	55000	762	43639
ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ	31000	35000	393	24681
ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ	29000	32000	112	20517
ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ	26000	26000	450	15690
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ	20310	23000	251	10100
ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ	19000	22000	492	21138
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ	16150	16500	23	15689
ᲒᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ	10000	11000	441	10893
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ	9500	9500	172	3809
ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ	9000	9000	38	5551
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ	9000	9000	100	1489
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ	1500	2000	195	1016
ᲡᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ	455000	500000	4105	252890

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონში მოკრეფილია 204 ტონა, საჩხერისაში — 233 ტონა, მაიაკოვსკისაში — 186 ტონა, თერჯოლისაში — 117 ტონა, დუშეთისაში — 33 ტონა, სამტრედიისაში — 16 ტონა, წყალტუბოსაში — 59 ტონა, წულუკიძისაში — 20 ტონა, ტყიბულისაში — 6 ტონა, ჩოხატაურისაში — 29 ტონა.

ᲛᲐᲜᲔᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ

ᲣᲪᲮᲝᲠᲡ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაა ცნობილი თბილისის სახოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის პროდუქცია — საირიგაციო სისტემები, დასაწვიმებელი მანქანები, ჩაის საკრეფი აგრეგატები, აპარატები, კულტივატორები. ეს მექანიზმები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე ბულგარეთის, მონღოლეთის, ირანის, ეთიოპიის უანებსა და პლანტაციებში, ვიეტნამში, კუბასა და სხვა ქვეყნებში.

თავდადებით შრომობს საწარმოს კოლექტივი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგას.

მოწინავეთა შორის ახახელებენ ამწყობ ზეინკლებს — ნ. მაღრაძეს, რ. თითბერიძეს, მეშოქლონე ზეინკალს პ. ალექსანდროვს, რომლებიც 150-160 პროცენტით ახრულებენ საგეგმო დავალებებს. მოწინავე მანქანათმშენებლებმა ვალდებულება აიღეს 1977 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ხუთწლედის საიუბილეო წლის გეგმა. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: საქართველოს სახოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშები: ნ. მაღრაძე, რ. თითბერიძე და პ. ალექსანდროვი.

Თ. ᲛᲘᲠᲝᲑᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲡᲣᲚ უფრო ახლოვდება ღირსშესანიშნავი თარიღი — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი. რესპუბლიკის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით გამოწვეული მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ახალ წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, ავლენენ და ამოქმედებენ მრეწველობის ახალ რეზერვებს. ისინი, როგორც მეფინალე საბჭოთა ხალხი, მთლიანად და სავსებით უმერენ მხარს პარტიის პოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პრაქტიკულ საქმიანობას.

რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ახალი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვამ. ისინი მთელი სულითა და გულით იწონებენ ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს.

ასეთ პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კომპლექსურ მიდგომას მშრომელთა აღზრდის მთელი საქმისადმი. ამ საკითხს საგანგებოდ დაეთმო ყურადღება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამახწინანდელ დადგენილებაში „სკკპ ორსკის საქალაქო კომიტეტის მიერ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტისათვის მუშაობის შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი ორგანიზატორულ -პოლიტიკურ და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროპაგანდასთან არის დაკავშირებული, მიზნად უნდა ისახავდეს, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას, მათს აღზრდას კომუნიზმის იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხთა კომპლექსურ გადაწყვეტას ყველაზე მეტად გამოაჭვს ნაყოფი იქ, სადაც იგი ემსახურება წარმოების შემდგომი განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ინტერესებს. ხელს უწყობს საიუბილეო წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა ამოცანებს. თათბირს ესწრებოდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და იდეოლოგიის დარგის მდივნები, საქართველოს პროფსაბჭოსა და. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, იდეოლოგიური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, მეცნიერებათა აკადემიის, შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საზოგადოებათმცოდნე ლექტორები, რესპუბლიკური გაზეთების და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქტორები, გამომცემლობების დირექტორები, „მეორკაკვასიის წითელდრომშვიანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი „სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებისა და პარტიის ორსკის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები“.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. კოლბინმა.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ფ. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ვასილიევა-ამირაძე, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. ჯიქია, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. შუღაროვი, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. Ა. ლომიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ი. ორჯონიკიძე.

იდეოლოგიური მუშაკების თათბირზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. გ. ბეგიხანოშვილის ინფორმაცია „ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ამოცანების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის ამხ. ე. სეხნაოშვილის ინფორმაცია „უმაღლეს სასწავლებლებში მიღებები გამოცდების შედეგებისა და მოსამზადებელ განყოფილებებზე მიღების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

იდეოლოგიური მუშაკების თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ს. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. ჩერქეზია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ა. ალექსიძე.

(საქინფორმი).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲮᲝᲠᲪᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 23 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). ქუთაისში პრაქტიკულად ყოველი საწარმოო, დაწყებულება, ბევრი ოჯახი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შრომობს დღეს. შარშან, მაგალითად, სახელმწიფოს მიეყიდა 5.100 ცენტნერზე მეტი ხორცი. ქუთაისელები წელსაც არ შეამცირებენ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვას.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანას მოზრდილი მეცხოველეობის მეურნეობა აქვს. მას ქალაქის სხვა საწარმოებიც არ ჩამორჩებიან.

ეს სახელმწიფოსთვისაც ხელსაყრელია და მოსახლეობისთვისაც. მაგალითად, ტაქსის მძღოლის უ. კინწურაშვილის ოჯახმა უკანასკნელ ორ წელიწადში სახელმწიფოს მიჰყიდა ხუთი ტონა ღორის ხორცი, მიმდინარე წლის დამლევისათვის მიჰყიდის კიდევ ათ ცენტნერს. ოჯახის შარშანდელი მიუკვლეტი სამი ათასი მანეთით გაიზარდა.

პირუტყვის საკვები იყიდება ქალაქის საგაჭრო ქსელში. აქ ფარფოდ იყენებენ ფრთვეგ საზოგადოებრივი კვების ობიექტების ნარჩენებს.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲚᲐᲒᲝᲜᲘᲡ მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გეგმით გათვალისწინებული 2200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2350 ტონა ყურძენი. მათ ღორსეულად შეასრულეს სოციალისტური ვალდებულება. რთველში თავი გამოიჩინეს ავროგანყოფილებათა კოლექტივებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ა. წულუკიძე და ჯ. ქერიმოვი. მათ დიდი რაოდენობის ზეგეგმითი მოსავალი მოიწიეს.

ᲧᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ მერძეულეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულება, ნაცვლად 1.730 ტონისა სახელმწიფო მარანში მიტანილია 1.800 ტონაზე მეტი ყურძენი. რთველი გრძელდება.

ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ საბჭოთა მეურნეობაში 80 წლის პენსიონერმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა მასზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე გეგმით გათვალისწინებული 3,5 ტონის ნაცვლად 8 ტონა ყურძენი მოკრიფა. შრომის ვეტერანს მაგალითისმაგრ ჩინებული მოსავალი მოიწიეს აგრეთვე გ. ცარცაძემ, ნ. მოსაშვილმა, გ. გასპარიანმა, ა. ხარაიშვილმა და სხვა მევენახეებმა.

საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა და ახლა გადაწყვეტა დავალების გადაჭარბებით კიდევ 200 ტონა ყურძენი მოკრიფოს. (საქინფორმი).

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡᲖᲔ

28 სექტემბერი

ᲨᲔᲛᲣᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲛᲔᲠᲕᲔ წელიწადია „პრავდის“ ფურცლებზე ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ. ᲩᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ მე-60 წლისთვის ᲓᲝᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲠᲘᲠᲔᲑᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲚᲓᲘᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲓᲦᲘᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1,8 მილიონი ჰექტარი გაუმჯობესებული მიწები, წერს ვაზეთი მოწინავე წერილში („მიწის ᲓᲐᲛᲮᲐᲠᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“), გაასარწყვონ 7,5 მილიონი ჰექტარი სასოვრები ნახევრად უდაბნოებსა და მთიან რაიონებში. მოწინავე კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვლადიმირისა და რიაზანის ოლქების მშენებელთა ინიციატივას, რომ ვადამდე, მაღალხარისხოვანად შეასრულონ საიუბილეო წლის დავალებანი, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. მაგალითად, დამკვრელურად შრომობს „ᲣᲙᲠᲬᲧᲐᲚᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ტრესტის № 96 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც კამოვკის სარწყავ სისტემას აშენებს. იგი დღითი დღე სულ უფრო უახლოვდება მიზანს: ნოემბრამდე ჩისაბარებლად მოამზადოს 15,2 ათასი სარწყავი ჰექტარი. ეს დაგეგმილზე მეტია. კარგად აქვთ საქმე ყარშის ველის, პოლესიეს და ბეგრი სხვა მეურნეობის მელიორატორებს.

ᲨᲠᲣᲜᲕᲐ მელიორატორთა შერჩევის, განწყობისა და აღზრდისათვის პარტიული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა, ნათქვამია დასასრულ მოწინავეში. როცა აჩალებენ და წარმართავენ სოციალისტურ შეჯიბრებას წყალსამეურნეო მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უნდა აამაღლონ პროფესიათა პრესტიჟი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის გარდაქმნასთან, უფრო აქტიურად გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, დარგის ყველა მშრომელი აღზარდონ საუკეთესოთა მაგალითით. მელიორატორთა ოსტატობის შემდგომი ზრდა ხელს შეუწყობს პარტიის XXV ყრილობის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

26 სექტემბერს 20 საათსა და 20 წუთზე სამრეწველო დატვირთვით ამოქმედდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის პირველი ბლოკი. საპატიო დავალება — ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის აემუშავებინათ მილიონი კილოვატი სიმძლავრის პირველი ელექტრობლოკი — შესრულებულია!

იმაზე, თუ როგორ აქედებოდა ეს გამარჯვება, გვიამბობს „პრავდის“ კორესპონდენტი („წამოვიდა ატომური ელექტროსადგურის დენი“).

„შეჯიბრება ახალი ადამიანის აღზრდის შეუცვლელი საშუალებაა, ხელს უწყობს მის პოლიტიკურ ზრდასა და ზნეობრივ სრულყოფას“, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფკავშირის XVI ყრილობაზე, იქ, სადაც ამ ცხოველმყოფელ ძალას უნარიანად, შემოქმედებითად იყენებენ, ადამიანთა შრომითი მეტოქეობა დიდ გავლენას ახდენს წარმოებაზე, მუშაკებისათვის კომუნიზმის მშენებლობა შესანიშნავი თვისებების ჩანერგვაზე. და, პირიქით, აღზრდის საქმეს დამოუკიდელ ზიანს აყენებს ფორმალიზმი, კაზიონურობა და მოჩვენებითობა. სწორედ ამაზეა ლაპარაკი „პრავდის“ ნოემბერბრესკელი და ლენინგრადელი კორესპონდენტების მასალებში („პარტიული ცხოვრება: აღზრდას კომპლექსური მიდგომა“, „რა ამოძრავებს შეჯიბრებას?“).

„მოსკოვის ოლქის ლენინური ადგილები“ — ასე ეწოდება მხატვარ ვ. ი. ანდრუშკევიჩის აკვარელების გამოფენას, რომელიც სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოსკოვის საოლქო საბჭოს შენობაში გაიხსნა (ᲘᲮ. ᲮᲐᲤᲠᲝᲜᲝᲕᲘ — „ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ“).

გაზეთი კვლავ უხვად აქვეყნებს საერთაშორისო და საკავშირო ინფორმაციას.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲔᲑᲡ!

„ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲩᲘᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს ესტუმრა სახელოვანი ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ კაპიტანი ᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲩᲘᲔᲕᲘ. იგი იყო ტხინვალში, ბათუმში, საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებში, გაეცნო რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობას. აღტაცებული დარჩა ქართველი მეჩაიეებით, რომლებსაც ახლახან ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი შრომითი გამარჯვება მიულოცა.

გუშინ არქტიკის გმირი თბილისში ჩამოვიდა, სალამოს ქართველ და იტალიელ ფეხბურთელთა თამაშს დაესწრო. თბილისელი მაყურებელი გულთბილად მიესალმა სასურველ სტუმარს.

იური კუჩიევმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას სთხოვა გამოგვეჭვეყნებინა მისი ეს გულწრფელი სიტყვები:

„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲩᲐᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲜᲣᲮᲐᲪᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲐ ᲞᲝᲚᲐᲠᲣᲚ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის საკითხი რევოლუციური მოძრაობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირეული საკითხია. იგი ჩვენს დროში მარქსისტ-ლენინელთა და სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტების წარმომადგენელთა შორის ბრძოლის საკვანძო პრობლემა გახდა.

თეორიულად ეს საკითხი საბოლოო ანგარიშით დაკავშირებულია მუშათა მოძრაობაში სტიქიურობისა და შეგნების, საზოგადოებრივ პრაქტიკაში, კლასობრივი ბრძოლის რეალურ პირობებში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანფაარდობის გადებასთან. იგი იქცევა ცნობილ ფორმულად: **პარტია-კლასი-მასები.**

მარქსიზმი იმით ხელმძღვანელობს, რომ საზოგადოებრივი განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, რომელიც ობიექტურ კანონებს ექვემდებარება. ეს კანონები არათუ არ არის დამოკიდებული ადამიანთა ნებასა და შეგნებაზე, არამედ, პირიქით, განსაზღვრავს მათს ნებასა და შეგნებას. მაგრამ ამავე დროს მარქსიზმ-ლენინიზმი არ აქირებს ადამიანთა ნებისა და შეგნების, მოწინავე იდეებისა და თეორიების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვათა მნიშვნელობას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარქსისტული დებულება აიხადებს, რომ შეიგნება, ნება, იდეები, რომლებიც სწორად ასახავს ისტორიული განვითარების ობიექტურ ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ყოფიდის უკეთავლენას ახდენს ეკონომიკურ ბაზისზე. ყოველნაირად უწყობს ხელს საზოგადოების პროგრესს.

„მარქსიზმი, — აღნიშნავდა ლენინი, — იმით განსხვავდება ყველა სხვა სოციალისტური თეორიისაგან, რომ იგი საუცხოოდ აერთებს საქმის ობიექტური მდგომარეობისა და ეკოლუციის ობიექტური მსვლეობის ანალიზის სრულ მეცნიერულ სიფხიზლეს და მასების რევოლუციური ენერგიის, რევოლუციური შემოქმედების, რევოლუციური ინიციატივის მნიშვნელობის გადაჭრილი აღიარებას, — აგრეთვე, რა თქმა უნდა, იმ ცალკეული პიროვნებათა, ჯგუფთა, ორგანიზაციათა და პარტიათა მნიშვნელობის აღიარებას, რომლებიც უნარი შესწევთ მოსინჯონ და განახორციელონ კავშირი ამა თუ იმ კლასებთან“.

მშრომელი მასების წამყვანი შალაა მუშათა კლასი. იგი თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასიდან ყველაზე რევოლუციური და ყველაზე მოწინავე კლასია და დაკავშირებულია მეორნეობის ყველაზე მოწინავე ფორმასთან — მსხვილ წარმოებასთან, სისტემატურად იზრდება რაოდენობრივად, ეთანარება პოლიტიკურად, ადვილად ექვემდებარება ორგანიზაციას. კაპიტალისტური ურთიერთობის საერთო სისტემაში თავისი მდგომარეობის გამო მხოლოდ მუშათა კლასია — ერთადერთი ბოლომდე თანამიმდევრული რევოლუციური კლასი. მხოლოდ მას შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ყველა მშრომელის, ექსპლოატირებული მასების ბრძოლას ექსპლოატატორული წყობილების ლიკვიდაციისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

მაგრამ მუშათა კლასს თავისი დიდი ისტორიული მისიის შესრულება შეუძლია მხოლოდ ერთიანობისა და ორგანიზაციის პირობებში, რაც მიუღწეველია, თუ არ შეიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია. ეს პარტია შეიარაღებული უნდა იყოს მოწინავე რევოლუციური თეორიით, რათა გაიცნობიერებინოს მუშათა კლასს თავისი კლასობრივი ინტერესები, ახალი საზოგადოების მშენებლის მსოფლიო-ისტორიული როლი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება, სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ და ნათლად გვიჩვენებს, რომ მასა

ლენინიზმის ერთგულებით

ქსალი საზოგადოების შექმნის ძირეული საკითხი

ლებული ფორმა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შეუძლია მიიყვანოს მუშათა კლასი და ყველა მშრომელი სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებამდე, რომ მხოლოდ მუშათა კლასი და მისი პარტია არიან მშრომელების, მთელი პროგრესული ძალების ძირეული ინტერესების გამომხატველნი.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ადამიანი ხაზით მიმდინარეობს. ყოველ მის ახალ ეტაპზე ფართოვდება ადმშენებლობითი საქმიანობის მასშტაბი, კეთილი წარმომადგენლებისაგან შედგება და სრულყოფილად ფლობს მოწინავე რევოლუციურ თეორიას და ხალხის უსაზღვრო ნდობა აქვს მოპოვებული, რომლისთვისაც დამახასიათებელია მომავლისაკენ სწრაფვა, საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, მხოლოდ ასეთი პარტიის ხელმძღვანელობით შეიძლება მთლიანად შესრულდეს საპროგრამო დებულებები კომუნიზმის აშენების მიზნით ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების ინტენსიური ზრდის შესახებ.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა აღმავალი ხაზით მიმდინარეობს. ყოველ მის ახალ ეტაპზე ფართოვდება ადმშენებლობითი საქმიანობის მასშტაბი, ეტაპზე ეტაპზე ისინი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სიმწიფის დონის შესაბამის ახალ, უფრო მდიდარ შინაარსს იძენდნენ. მომწიფებულმა, განვითარებულმა სოციალიზმმა ახლებურად დააყენა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების ბევრი ამოცანა. მრავალმხრივ შეიცვალა როგორც შესაძლებლობები, ისე საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიც. მიმდინარეობს პარტიისა და ხალხის პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა მხარის ღრმა გარდაქმნა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სულ სხვაგასხვა თვალსაზრისი მოქმედება იქვიის იმას, რომ საბჭო ხალხი ეფექტურად ებრძოლოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს, ბოლოკიური ინსტიტუტები. სულიერი ცხოვრება, ესე იგი საზოგადოების ორგანიზმის აბსოლუტურად ყველა შემადგენელი ელემენტი.

კომუნისტური აღმშენებლობის გზაზე მომავალ გამარჯვებათა და საგმირო საქმეთა საიმედო საწინდარი და წყაროა ის, რომ პარტია წარმატებით ასრულებს თავის განუწყვეტელ მზარდ როლს, რომ მას ახასიათებს ერთობა და მეზნისაკენ სწრაფვა, რომ თვი ლენინის ანდერძის უერთგულია და დღენიადაგ განამტკიცებს კავშირს ხალხთან.

პეტრე როდიონოვი.
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლენინური დეკრეტებიდან — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციამდე

„ოქტომბრის ლენინური დეკრეტებიდან — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციამდე“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 27 სექტემბერს გაიხსნა მოსკოვში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

ექსპოზიციის ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის მასალები, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის დოკუმენტები. აქვეა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი.

განყოფილებაში „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი და საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედი“ წარმოდგენილია ზვისა და მიწის ლენინური დეკრეტების პირველი პუბლიკაციები, რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია.

ექსპოზიციაშია სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობის მიერ 1922 წლის 30 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუცია. წარმოდგენილია ამჟამად მოქმედ კონსტიტუციასთან დაკავშირებული მასალები.

გამოფენა გვაცნობს ძირითადი კანონის — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტის ყველა კარს, ასახავს ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში, მთელ ჩვენს საზოგადოებაში მოხდა უკანასკნელი ოთხი ათწლეულის მანძილზე.

გამოფენის მასალები ფართოდ აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს საბჭოთა საზოგადოებაში. პარტიის რიგებში 16 მილიონზე მეტი წევრია.

ერთ-ერთი კარი ეძღვნება სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას. სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ფართო მონაწილეობას მოწმობს, კერძოდ, ასეთი ფაქტი: უკანასკნელი არჩევნების დროს ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 2.229.641 კაცი, დაახლოებით 30 მილიონი კაცი საბჭოების აქტივს შეადგენს.

ფართოდ არის ნაჩვენები საბჭოეთის მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, წარმატებები, რომლებითაც სამშობლო დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-60 წლის თავს ეგებება.

ექსპოზიციაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას. გამოფენა ცხადყოფს, თუ რა ფართოდ განიხილავენ ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც მხურვალედ მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

(სკკდშს).

ჟრობლემა

ავტომობილი, ფვირთი, ეფექტი

ბიბლიოთეკა

● ყველა სახის ტრანსპორტისათვის საჭირო ტვირთზიდვის ხარჯების გაფოთვლის ერთიანი მეთოდი ● ავტოტრანსპორტზე დასაქმებული ყოველი მუშაკის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ახალი პრობლემის წინაშე გვაყენებს ● გადაჭრას ელის საავტომობილო ტვირთზიდვაში შრომაბეჭვლობისა და თვითღირებულების შემცირების პრობლემები.

დღეისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების სფეროს ზუსტად განსაზღვრა და ტრანსპორტის სახეობათა შორის საქვირთო გადაზიდვების რაციონალურად განაწილება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი შეუძლებელია, თუ არ მიეცემა იმას, რომ ყველა სახის ტრანსპორტისათვის ტვირთზიდვის ხარჯების გამოთვლა ერთნაირად წარმოებდეს. საქმე ის არის, რომ დღემდე ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე სხვადასხვანაირად ანგარიშობენ ტვირთზიდვის ხარჯებს. მაგალითად, სარკინიგზო ტვირთზიდვის თვითღირებულებაში საჯაო მეურნეობის ხარჯები შეიქვრ. საავტომობილო ტვირთზიდვის თვითღირებულებაში კი არა.

რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტზე სათბობისა და სხვა მასალების ბრუნვის გადასახადებს სხვადასხვა ოდენობის დანარიცხები აქვს; როგორც ერთი, ისე მეორე სახეობის ტრანსპორტის ტვირთზიდვის თვითღირებულებაში არ მონაწილეობს ფონდუკუნგები და რამდენადაც თითოეული მათგანის ფონდების მოცულობებში დიდი განსხვავებაა, ეს გარემოებაც ხარჯების შედარების საშუალებას არ იძლევა; სხვადასხვა სახის ტრანსპორტს ტვირთების მიტანის სხვადასხვა სიჩქარე აქვს, ტვირთზიდვის ტარიფებში კი ტვირთების მიტანის სიჩქარის ეფექტურობა ტრანსპორტის სახეობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული და სხვა გარემოებანი არსებენ, და უფრო მეტიც, შეუძლებელია ხდიან სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ხარჯების შედარებას, და ამიტომაც ყოველი კონკრეტული საქვირთო გადაზიდვებისათვის უფრო ეფექტიანი სახეობის ტრანსპორტის შერჩევა გართულებულია.

ამრიგად, ტრანსპორტის ეკონომიკის იმ საკითხთა შორის, რომლებიც საჭიროებენ გადაწყვეტას, უმნიშვნელოვანესია ყველა სახის ტრანსპორტისათვის ტვირთზიდვის ხარჯების გაფოთვლის ერთიანი მეთოდიკის შემუშავება და ამ მეთოდიკის საფუძველზე ტვირთზიდვის ისეთი ტარიფის შედგენა, რომელიც ტვირთების მიტანის სიჩქარესაც გაითვალისწინებს.

გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე საქართველოში, ერთი მხრივ აფერხებს ის, რომ შორეულ საქვირთო გადაზიდვებზე; ტრანსპორტის სახეობათა შორის ტვირთზიდვის განაწილების დროს არ ვითვალისწინებთ ავტოტრანსპორტის ზემოაღნიშნულ უპირატესობებს.

საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს რესპუბლიკის საქვირთო საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში საერთო საქრგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წილი 1965 წელს უფრიდა 47,6 პროცენტს, ხოლო საუწყებო ავტოტრანსპორტისა—52,4 პროცენტს, 1975 წელს კი შესაბამისად 41 და 59 პროცენტს.

საუწყებო ავტომეურნეობათა ქსელის უპირატესად განვითარების ასეთ კურსს დიდი ზარალი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, უკანასკნელი წლების მონაცემების მიხედვით აქ დღეღამეში მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა ოდრის 9,3 საათს, ხოლო საერთო საქრგებლობისა — 12,1 საათს, მუშა პარკის საქვირთო ავტომობილთა საშუალო-საადღეღამისო გარბენი კი შესაბამისად 154,5 კილომეტრს და 192 კილომეტრს უფრის. ამიტომ საერთო საქრგებლობის საქვირთო ავტომობილების მუშაობლობა საუწყებოსთან შედარებით 50-60 პროცენტით მეტია, ხოლო ტვირთზიდვის თვითღირებულება 15-20 პროცენტით ნაკლებია. ჩვენი რესპუბლიკის საერთო საავტომობილო ტვირთზიდვაში საუწყებო ავტოტრანსპორტის ხვედრითი წილი, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს დაახლოებით 25-30 პროცენტს. მაგრამ ეს ასე არ არის.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტს დაახლოებით 113 ათასი კაცი ემსახურება. მათ შორის საქვირთო ავტოტრანსპორტს — 90,4 ათასი (დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუშაოების ჩათვლით). საქვირთო სამეურნეოზე დასაქმებული ყოველ მუშაკის საშუალო წლიური გამომუშავება დღეისათვის 24 ათას ტონა-კილომეტრს არ აღემატება. მართალია, ეს მაჩვენებელი ეროვნულ-ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად, ეს ეხება ეკონომიკურ ეფექტიანობასაც, ეს ეხება ეკონომიკურ ეფექტიანობასაც, ეს ეხება ეკონომიკურ ეფექტიანობასაც

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკადესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXII სესიის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსი ის არის, რომ უზრუნველყოს მშვიდობიანი აღმშენებლობითი ცხოვრება ჩვენი ხალხისათვის, მშვიდობა მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ. უკვე 60 წელია მტკიცედ და განუხრელად ვადგავართ ამ გზს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის წელს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ მიზნებსა და ჰუმანურ პრინციპებს ძირითადი სახელმწიფო კანონის ძალა მიენიჭება. ამ სახით ისინი დამკვიდრდება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით.

ამავე მიზნებს ემსახურება საბჭოთა კავშირის კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური აქციები, ინიციატივები, რომლებსაც საერთაშორისო სამეგებში ვიჩენთ. ბევრი მათგანი ამ ტრიბუნიდან გამოცხადდა. თავისი კონცენტრირებული სახით ისინი ჩამოყალიბებულია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამაში, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ — საბჭოთა ქვეყნის პარტიის უმაღლესმა პოლიტიკურმა ფორუმმა მიიღო.

